ოქმი:**ო63. 6326169001**
თარიღი:**18/06/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 17

ქ. სამტრედია. 17 ივნისი, 2026 წელი.

2026 წლის 17 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 16 ივნისის წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 ივნისის*** N 62-622616787 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს ორგანული

კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26– ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის თანახმად, 2026 წლის 24 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა საკრებულომ განიხილოს შემდეგი დადგენილების პროექტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომართვის N 62-622616787 **16/06/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326167001-63 16/06/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი